GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

01 Nisan / აპრილი 2022

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 728.6	5015.3	10.4%	20.6 %	13.7 %

Karadeniz'de Doğalgaz Arama Çalışmaları Başladı

შავ ზღვაში ბუნებრივი აირის მარაგების მოძიება იწყება

Gürcistan Başbakan Yardımcısı, Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Levan Davitashvili, Bakan Yardımcısı Romeo Mikautadze ve Petrol ve Gaz Dairesi Başkanı Giorgi Tatishvili, Avusturya-Rumen enerji şirketi OMW Petrom'un heyetiyle bir araya geldi.

OMW Petrom, Gürcistan'ın Karadeniz kıyısında doğal gaz rezervlerin araştırma sürecini başlatacak. OMW Petrom, önümüzdeki bir yıl içerisinde Karadeniz'de yeni üç boyutlu sismik taramaları başlatacak. Sondaj çalışmaları ise projenin bir sonraki aşamada yapılacak. Görüşmede, Gürcistan'ın Karadeniz bölgesinde önemli miktarda doğal gaz rezervlerin bulunduğu kaydedildi.

Şirket, gelecek yıldan itibaren Gürcistan üniversitelerdeki öğrenciler için değişim programların uygulama arzusu dile getirdi.

საქართველოს ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, მინისტრის მოადგილე რომეო მიქაუტაძე და ნავთობისა და გაზის სააგენტოს დირექტორი გიორგი ტატიშვილი ავსტრიულ - რუმინული ენერგეტიკული კომპანიის OMW Petrom-ის დელეგაციას შეხვდა.

OMW Petrom საქართველოს შავი ზღვის შელფში ბუნებრივი აირის მარაგების მოძიების პროცესს დაიწყებს. პროექტის ბიუჯეტი 30 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. უახლოესი ერთი წლის განმავლობაში OMW Petrom სამგანზომილებიან სეისმურ საძიებო სამუშაოებს განახორციელებს. პროექტის მომდევნო ეტაპზე კი ბურღვა დაიწყება. შეხვედრისას აღინიშნა, რომ ექსპერტების შეფასებით საქართველოს შელფზე ბუნებრივი აირის მნიშვნელოვანი მარაგებია.

კომპანიამ სურვილი გამოთქვა, რომ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის მომავალი წლიდან გაცვლითი პროგრამები განახორციელოს.

ARKAS GEORGIA LLC İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI EFES GEORGIA MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING Ziraat Bankası

Demiryolu Taşımacılığı

სარკინიგზო ტრანსპორტირება

2022 - 2023 yıllarında Batum petrol terminali üzerinden Kazakistan'dan yaklaşık 2 milyon ton petrol ve petrol ürünlerin taşınması planlamaktadır. Gürcistan Ekonomi Bakanlığı'na göre, konu ile ilgili Kazak tarafı ile müzakereler aktif bir şekilde devam etmektedir.

Bakanlığına göre, "Gürcistan Demiryolu" orta koridorunda kuru yükleri çekmek için aktif olarak çalışmaktadır. Pandemiye rağmen demiryolu ile taşınan yük istatistikleri büyüme dinamikleri ile karakterize edilmektedir. Tabi ki de bu koridorun rekabet gücünü vurgulamaktadır.

Gürcistan Ekonomi Bakan Yardımcısı'na göre, 2021'de uluslararası alanında demiryolları ile taşınan yük hacmi 10,2 milyon tona ulaştı ve bu, 2020 yılının verilere göre %11,3 daha fazladır. 2022 yılın başındaki ciroya gelince, Ocak-Şubat döneminde uluslararası demiryolu taşımacılığı ile taşınan yük hacmi 1,8 milyon ton olarak gerçekleşti ve bu 2021 yılının aynı dönemine göre %10,7 ile daha fazladır.

2022 - 2023 წლებში ბათუმის ნავთობტერმინალის გავლით ყაზახური წარმოშობის დაახლოებით 2 მლნ ტონა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირება იგეგმება. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს განმარტებით აღნიშნულთან დაკავშირებით ყაზახეთის მხარესთან მოლაპარაკებები აქტიურად მიმდინარეობს.

სამინისტროსვე განმარტები, „საქართველოს რკინიგზა“ ასევე აქტიურად მუშაობს შუა კორიდორში მშრალი ტვირთების მოზიდვის მიმართულებითაც. რკინიგზის საერთაშორისო გადაზიდვებით ტრანსპორტირებული ტვირთების სტატისტიკური მონაცემების შედარების შედეგად ცხადი ხდება, რომ პანდემიის მიუხედავად, ეს მაჩვენებელი ზრდის დინამიკით ხასიათდება. აღნიშნული ხაზს უსვამს დერეფნის კონკურენტუნარიანობას.

ეკონომიკის მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, 2021 წელს რკინიგზით საერთაშორისო გადაზიდვებით გადაზიდულმა ტვირთების რაოდენობამ 10.2 მილიონი ტონა შეადგინა, რაც 2020 წელთან შედარებით 11.3%-ით მეტია. რაც შეეხება ტვირთბრუნვას 2022 წლის დასაწყისში, იანვარ-თებერვლის პერიოდში რკინიგზით საერთაშორისო გადაზიდვებით გადაზიდულმა ტვირთების რაოდენობამ 1.8 მილიონი ტონა შეადგინა, რაც 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 10.7%-ით მეტია.

ARKAS GEORGIA LLC İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI EFES GEORGIA MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING Ziraat Bankası

Kripto Para
კრიპტო ვალუტა

Kripto para ticareti alanında dünyanın en büyük şirketlerinden biri olan FTX Crypto Derivatives Exchange heyeti, Gürcistan'ı ülkedeki iş ortamı ve yatırım fırsatları öğrenmek için ziyaret etti. Firma temsilcileri Ekonomi Bakan Yardımcısı ağırladı. Bakana göre, şirket Gürcistan'a yatırım yapmakla ilgileniyor.

კრიპტო ვაჭრობის სფეროში მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია FTX Crypto Derivatives Exchange-ის დელეგაცია საქართველოში არსებულ ბიზნესგარემოსა და საინვესტიციო შესაძლებლობებს ეცნობა. კომპანიის წარმომადგენლებს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე შეხვდა. მინისტრის განმარტებით FTX Crypto Derivatives Exchange საქართველოში ინვესტიციით არის დაინტერესებული.

Viber Gürcistan'da Ofisi Açacak
ვაიბერი საქართველოშ ოფისს ხსნის

Rakuten Viber Gürcistan'a girip Tiflis'te operasyon ofisi açacak. Özel ve güvenli mesajlaşma ve sesli iletişimde dünyanın lider olan firma Gürcistan'da akıllı telefon uygulamaların geliştirmeye odaklanacak.

Rakuten Viber საქართველოში შემოდის და თბილისში საოპერაციო ოფისს ხსნის. კერძო და უსაფრთხო შეტყობინებებისა და ხმოვანი კომუნიკაციის სფეროში გლობალური ლიდერი კომპანია, საქართველოში მობილური აპლიკაციების განვითარებაზე იქნება ორიენტირებული.

ARKAS GEORGIA LLC İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI EFES GEORGIA MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING Ziraat Bankası

Ekonomik Büyümenin Ön Değerlendirmesi (Şubat 2022)
ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება (თებერვალი 2022)

Şubat 2022'de bir önceki yılın aynı dönemine göre Gayri Safi Yurtiçi Hasılanın (GSYİH) büyümesi %14,6, Ocak-Şubat ortalaması ise %16,3 olmuştur.

Şubat 2022'de büyüme aşağıdaki sektörlerde gözlendi: imalat, ulaştırma ve depolama, elektrik ve gaz temini, otel ve restoranlar, gayrimenkul işlemleri, dinlenme ve eğlenme, maden endüstrisi.

Şubat 2022'de Gürcistan iş dünyasının, KDV'den muaf olmayan işletmelerin cirosu 8,9 milyar GEL oldu ve bu bir önceki yılın aynı dönemine göre %27 daha fazladır.



2022 წლის თებერვალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 14.6% შეადგინა, ხოლო იანვარი-თებერვლის საშუალო მაჩვენებელი 16.3%-ია.

2022 წლის თებერვალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ დარგებში: დამამუშავებელი მრეწველობა, ტრანსპორტი და დასაწყობება, ელექტროენერგიის და აირის მიწოდება, სასტუმროები და რესტორნები, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა, ხელოვნება, გართობა და დასვენება, სამთო მოპოვებითი მრეწველობა.

თებერვლის განმავლობაში საქართველოს ბიზნეს სექტორის, ანუ დღგ-ის გადამხდელი საწარმოების ბრუნვა 8.9 მილიარდი ლარი იყო, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 27%-ით მეტია.

ARKAS GEORGIA LLC İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI EFES GEORGIA MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING Ziraat Bankası

COVID-19

Gürcistan'da günlük Covid-19 vaka sayısı günde 407'a ulaşmaktadır. Bu hafta içerisinde doğrulanmış vaka sayısı 3352 ulaştı (ortalama: 478 kişi/gün). Bu hafta en yüksek günlük oran 29 Mart tarihinde kaydedildi – 698. Tespit edilen vaka sayıları ile Tiflis bölgesi tekrar ön sıradadır.

Son istatistik verilerine göre Gürcistan'da doğrulanmış korona virüs vakalarının toplam sayısı 1 648 653 ulaştı. Can Kaybı –16748, iyileşenlerin sayısı –1 626 296, aktif vaka ise – 5609. Halihazırda hastanelerde 524 kişi tedavi görüyor.Testlerdeki pozitif oranı, günlük olarak %1.79'e eşittir. Son 14 gün içerisindeki pozitif oranı %3.2'e, 7 gün içerisindeki pozitif oranı ise %2.57'e eşittir.

Bunun yanı sıra Gürcistan'da aşılama süreci de devam etmektedir. Şu an için toplam 2 861 255 kişi aşılandı. Aşı için kayıtlar devam etmektedir. Kayıt portal: https://booking.moh.gov.ge

Dünya çapında korona virüs vakalarının sayısı 488 milyona aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 488 759 267; Can Kaybı – 6 167 839; İyileşen kişi sayısı – 423 817 614. En çok vaka sayısı ABD, Hindistan, Brezilya, Fransa ve Almanya'da görülmüştür.

საქართველოში კორონა ვირუსის შემთხვევები ისევ მაღალია და დღიურად 407 -ს უტოლდება. მიმდინარე კვირას დადასტურებულ შემთხვევათა რაოდენობა 3352-ს უტოლდება - 478 კაცი საშუალოდ დღეში. ყველაზე მაღალი დღიური მაჩვენებელი 29 მარტს დაფიქსირდა - 698 ინფიცირებული. ინფიცირების მაღალი მაჩვენებლებით ისევ დედაქალაქი გამოირჩევა.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა საქართველოში 1 648 653 შეადგინა, გარდაიცვალა 16 748, გამოჯანმრთელდა 1 626 296, ხოლო 5609 აქტიური შემთხვევაა, რომელთაგანაც 524 სტაციონარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. ჩატარებულ ტესტებში დადებითობის მაჩვენებელი დღიურად 1.79%-ს უტოლდება. ბოლო 14 დღის განმავლობაში დადებითობის მაჩვენებელი არის 3.2%, ხოლო 7 დღის 2.57%.

პარალელურად მიმდინარეობს ვაქცინაციის პროცესი. საქართველოში ჯამურად აცრა 2 861 255 ადამიანს ჩაუტარდა. ვაქცინაციაზე რეგისტრაცია უწყვეტად მიმდინარეობს. რეგისტრაციის პორტალი: https://booking.moh.gov.ge

კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 488 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 488 759 267 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 6 167 839, ხოლო გამოჯანმრთელდა 423 817 614 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული აშშ-ს, ინდოეთს, ბრაზილიას, საფრანგეთს და გერმანიას ჰყავს.

ARKAS GEORGIA LLC İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI EFES GEORGIA MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING Ziraat Bankası

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 3.0896 **TRY/GEL** – 0.2106 **EUR/GEL** – 3.4276 **GBP/GEL** – 4.0545

USD/GEL

25 - 01 Nisan 2022

USD/TR

25 - 01 Nisan 2022

TRY/GEL

25 - 01 Nisan 2022

BTC – 44 176. 35

25 - 01 Nisan 2022



ARKAS GEORGIA LLC İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI EFES GEORGIA MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING Ziraat Bankası